




თავისუფლება



825
1974

საპარტიო-საბანკო-საფინანსო-საბიზნესო-საბიუროკრატიული მუშაკთა ორგანო

საბრძოლველად კლავია: ლევან ზურაბიშვილი, მიხეილ გრიგოლია, გიორგი წერეთელი.

LA TRIBUNE DE LA LIBERTÉ

Organe pour la Libération de la Géorgie

№2

პარიზი

მარტი 1974

ოცდახუთი თებერვალი

1921 წლის 25 თებერვალს, საბჭოთა რუსეთის ჯარები ჩვენს დედა-ქალაქ თბილისში შემოვიდნენ, ჩვენმა ჯარებმა, მთავარსარდლის ბრძანებით, იგი წინა ღამით დასტოვეს: გორის და ლიხის მოისაკენ დაიხიეს. ამ დღეს ომი არც დაწყებულა და არც გათავებულა, მაგრამ სიმბოლიურად, ჩვენ ეს დღე მიჩნეული გვაქვს ეროვნული დამოუკიდებლობის დაკარგვის დღედ. ეროვნული გლოვის დღედ, ხოლო მტერი ამ დღეს ზეიმობს თავის გამარჯვებას.

117 წლის შემდეგ საქართველომ განსაკუთრებულ პირობებში დაიბრუნა სახელმწიფოებრივი სუვერენობა. ბოლშევიკების ავტოკრატიის შედეგად, რუსის ჯარები სტოვენებ საქართველოს საზღვრებს და სახლებში მიეშურებიან თავიანთი იარაღით. გზა და გზა ისინი სარკვევენ მშვიდობიან ქართველ მოსახლეობას, თურქეთის ჯარი მათ ფეხდაფეხ მოჰყვება და იკავებს საქართველოს სამხრეთ ტერიტორიებს. ამ მეტად სახიფათო მომენტში, ქართველმა ხალხმა გამოიჩინა შესანიშნავი სახელმწიფოებრივი სიმწიფე: სრულიად უსისხლოდ მილიონიანი რუსის ჯარი გაყვანილ იქმნა საქართველოს საზღვრებს გარეთ. შეჩერებულ იქმნა თურქ ჯარების წინსვლა და მალე სრულიად განიდევნენ საქართველოდან.

— საქართველოს მთავრობა მუდამ იცავდა ჩაურევ-

ლობის პოლიტიკას და ის მტკიცედ აღუდგა წინ, როცა დენიკინი მოითხოვდა მისი ჯარების გატარებას საქართველოზე. რუსის მოსახლეობას, რომელიც იმ დროს საქართველოში ცხოვრობდა, არავითარი ჩაგვრა-შევიწროება არ განუცლია. დამოუკიდებლობის მთელ პერიოდში, ამ მხრივ, ადგილი არ ჰქონია არც ერთს ინციდენტს.

1920 წელს ლენინმა იცნო საქართველოს დამოუკიდებლობა; ხელი აიღო მეფის რუსეთის პრეტენზიებზე და აღიარა მის საქმეებში ჩაურევლობის პრინციპი — მიუხედავად ამისა, იმავე ლენინის რუსეთი: სრულიად უმიზეზოდ, ომის გამოუცხადებლად, მუხანათურად და ევრაგულად თავს დაესხა ომისათვის სრულიად მოუნზადებელ ქვეყანას და 5 კვირის უთანასწორო ბრძოლის შემდეგ დაიპყრო იგი.

ამ ყოვლად არა მორალურ ომში რუსის ხიმტებს თან შემოჰყვა რამდენიმე გზაბნეული ქართველი ავანტურისტი. პირადი თუ პარტიული შურით და განდიდებით დაეადებულგმა, ზეარაკად შესწირეს დედა-სამშობლო მეოცე საუკუნის მრისხანე ტირანიის კვარცხლბეკზე. თუმცა, თითქმის ყველა ისინი ამავე ტირანიის საკურთხეველზე იქმნენ შეწირულნი, მაინც მათ არ აცდებათ ქართველი ხალხის სამარადეაო წყევლა-კრულენა.

53 წელი გავიდა ამ დაწყვეტილი თარიღიდან. რამდენი ვიი და უბედურება გადახდა ამ ხნის განმავლო-

ბაში ჩვენს ქვეყანას, რა საჭიროა ამის ჩამოაკლა. ყველამ კარგად იცის თუ რა ძვირი დაუფლდა ქართველ ხალხს რუსული ხისტებით გასაბჭოება, მაგრამ ყველაზე უფრო აუტანელი, ყველაზე უფრო ამარჯუნი ბანკის არის, რომ დღესაც როგორც მთელი ამ 53 წლის განმავლობაში უწყალო ცინიზმით აიძულებენ ქართველ ხალხს:

გლოვის მაგიერ იდღესასწაულოს მისი დამარცხება, დამპყრობელებს მხსნელები უძახოს, ხოლო მოღალატეებს გუნდრუჯი უქმეოს. მტერი ბევრი ჰყოლია ისტორიულად ქართველებს.

პარაკლისი წმიდა ნინოს მკლესიანი

კვირას, ა. წ.: 24 თებერვალს, პარიზის წმიდა ნინოს ეკლესიაში გადხდომი იქმნა პარაკლისი 1921 წლის თებერვალ-მარტში, საბჭოთა რუსეთის ჯარების აგრესიის შედეგად წარმოებულ ბრძოლებში, დაღუპულ მამულიშვილთა, და ყველა მათთვის ვინც შემდეგაც ამის მიზეზით დაიღუპა.

გუნდმა, რომელიც სრული შემადგენლობით გალობდა, ოთარ პატარიძის ხელმძღვანელობით, პარაკლისის დასასრულს შეასრულა ქართული ეროვნული ჰიმნი დიდება. დროშასთან იდგნენ ამ ბრძოლების ვეტერანები: ქრისტეფორე იმნაიშვილი, ვალიკო ჩუბინიძე და იმ დროს იუნკერი, ამჟამად საფრანგეთის არმიის გადასმდგარი პოდ-პოლკოვნიკი ალექსანდრე კინწურაშვილი. მოძღვრება ილია მელიამ წარმოსთქვა ქადაგება შეუღებო შინაარსის:

„25 თებერვალი, ყველა ჩვენთაგანისათვის აქ, არის სამგლოვიარო დღე, რადგანაც ის აღნიშნავს თბილისის დაცემას, და ამავე დროს ის ნიშნავს ჩვენი ეროვნული დამოუკიდებლობის დაკარგვას.

ისევე როგორც 1924 წლის ავგისტოს აჯანყებას, 25 თებერვალსაც ჩვენ აღნიშნავთ ყოველწლიურად განსაკუთრებულად. რატომ? როგორც ერთის, ისე მეორის დროს ჩვენ განვიცდეთ მარტში. ღირს განა ვიდღესასწაულო დამარცხებები?..“

მისი მიწა-წყალი არა ერთხელ აუოხრებიათ. ისეთი დამდაბლიდა ჯერ არავის უკადრებია მისთვის!

— დროა გათავდეს ეს ტრალი-კომედია, მაგრამ ჩვენს ძალა არ შეგვიწევს მონობის უღელი გადავივლოთ. ხანსათის ისეთი სიმტკიცე მინც გამოვიჩინოთ, რომ მათ ღრეობას ვავემიჯნოთ და ჩვენი წუხილი ღირსებით ავიტანოთ. ვაგებდით ვთქვათ: არ გვინდა მატყუარობა! სიმართლე შევიტყუდეს, მისი დათრგუნვა შეუძლებელია.

მაშ გაუმარჯოს სიმართლეს! ძირს ტყუილი და მელაძუბა!..

უნდა ვიცოდეთ, რომ ერთის მხრივ, მსხვერპლის გაღება, — შეილებს მიერ გაღებული სისხლი, ერს უფლებას აძლევს მოიპოვოს ღირსეული ადგილი საკაცობრიო ისტორიაში. იგი დამამტკიცებელი საბუთია ერის ნებისყოფისა: იტხოვროს თავისუფლად და იყოს თავისი ბედის ბატონ-პატრონი.

მეორეს მხრივ, ადამიანებს ახასიათებთ უფრო მეტად ნოიხბილონ სიმძლავრისა და წარმატებისაგან ვიდრე სიმართლისაგან. ისინი განწყობილნი არიან უფრო დასთმონ, ვიდრე ვინააღმდეგობა გასწონ. იმედო ნანგვარ საუკუნის განმავლობაში არის ძალიან გრძელი! მაგრამ აი მიჯნა წარუხოცავი, რომელიც თავიანთი მსხვრალეებით აღნიშნეს ჩვენმა მამებმა და ძმებმა, ჩვენმა დედებმა და დებმა. ის ჩვენ გვაიძულებს თუ რომელ მხარეზე დავრჩეთ; ან ჩვენ ვავრძელებთ მათ ბრძოლას და მთი მათ სურვილებს დადებითად ვეხმადურებით, ან არა და, ვთანხმდებით ეროვნული დამოუკიდებლობის და ჩვენი ქრისტიანული ტრადიციების დაკარგვას, რაც ამავე დროს ნიშნავს რწმენისა და აზროვნების თვისუფლების დათრგუნვას, და ამით მათ იმედებს ვლაღატობთ. დიახ, ამიტომ განსაკუთრებული აღნიშვნა ყოველწლიურად ამ დღისა არის საჭირო, რათა განვახლოთ ჩვენი ეროვნული და ქრისტიანული ვალდებულებები და მოვალოებები იმ ძვირფას მსხვერპლად შეწირულთა მიმართ.“

ბ-ნ კ. სალიას „საქართველოს ისტორიის“ შესახებ „მ. ტ.“-ში მიღო შედეგი განცხადებები:

რეზოლუცია, მიღებული საქ. სოც. დემოკრატიულ პარტიის, პარიზის ორგანიზაციის მიერ, 10 თებერვალს, 1974 წელს.

მეცნიერულ ჟურნალ „ბედი ქართლისა“-ში, რომელიც ფრანგულ ენაზე გამოდის, ბ-ნი კალე სალია თა-

ვის წერილი საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვას გამოხატავს შემდეგ ფრაზაში:

„საქართველო იქნა გასაბჭოებული“.

არ არის ნაჩვენები, გასაბჭოება მოხდა ვარეშე ძალების მიერ; ასეთ ფორმულას შეუძლია შეცდომაში შეიყვანოს უცხო მკითხველი; უნდა ყოფილიყო განმარტებუ-

ლი, რომ საქართველო იქნა დაპყრობილი რუსეთის შეიარაღებულ ძალების მიერ.

სოც.-დემ. ორანიზაციას დიდ შეცდომად და დანაშაულად მიაჩნია საქართველოს ეროვნული ტრადიციის ასეთნაირად წარმოდგენა, რაც ემსახურება მოსკოვის საქმეს. ამით ავტორი ემოჯინება პოლიტიკურ ემიგრაციის მოვალეობას.

პარიზის სოც.-დემოკრატიული ორგანიზაცია.

3. ნოვაძე.

ლენინი და ზადლიშტა

უკვე 1918 წელს რუსეთში შემშლილია მძევნარება და ამერიკულმა წითელმა ჯვარმა დიდი დახმარება გაუწია რუსის ხალხს სურსათ-სანოვავის მიწოდებით. ეს შემშლილია გავრცლდა 1919 წელს და 1920—21—22 წლებში საქვე კაცისკამობამდე მივიდა.

1922 წელს „პონტფიკო“ ინსტიტუტ ორიენტალე“-მ დაბეჭდა ანგარიში იმ სიმშლის გამო, რომელიც ი-ი ხანად (1921—22 წწ.) რუსეთში მძევნარებად; სიმშლით აუარებელი ხალხი იხიციებოდა და თავის ვადასარჩუნად ბევრი თავის ბავშვსაც ქამდა; არამც თუ მარტო ეს, არამედ მყასბენიც კი ყიდნენ ბავშვთა ხორცს და ბაზარზე მას აწოდებდნენ. ევროპიდან და ამერიკიდან რუსეთის დამშულ ხალხს ეხმარებოდნენ, — ყერძოდ ამერიკა მას მილიონ ტონობით სურსათ-სანოვავეს უგზავნიდა და უნაწილებდა.

რასაკვირველია, კორესპონდენტები დასავლეთის პრესას დაწერილებით აცნობდნენ სიმშლისაგან გამოწვეულ უბედურებას და სურათებსაც აქვეყნებდნენ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, ბ-ნი გივი ჯავახიშვილი დიდი უსიკრებლო ვინძე ყოფილა, როდესაც გაზეთ „სამშობლო“-ში (22 სექტემბერი 1972 წ.) აცხადებს, რომ: „მსოფლიო პროლეტარიატის დიდი ბელადი ლენინი დევემას უგზავნის (1921 წლის 7 ივლისს) სასურსათო სახალხო კომისარიატის რეკომენდულს როსტოვში: „ვითხოვსწინებთ რა საქართველოს მძიმე სასურსათო მდგომარეობას, წინადადება გეძლევათ გაგზავნათ თბილისში, საქართველოს სასურსათო კომისარიატის მისამართით 100,000 ფუთი პური. დევემას მიიღება და შესრულება დამიდასტურეთი!“-ო. და ეს ვაითავმჯდომარე აღარაფერს ამბობს, მიიღო ეს პური საქართველომ თუ არა, და რასაკვირველია, არაფერს ამბობს იმაზე, რომ სწორედ საქართველოდან გაზიდეს

საქ. სოც-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლების განცხადება:

საქართ. სოციალისტ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელნი დასავლეთში ბ-ნი გიორგი ნაკაშიძე, ნიკოლოზ ანთაძე და ნიკოლოზ ურუშაძე „ბედი ქართლისას“ ზე 30 ნომერის გამოცემისთანავე: 1972 წელში, ბ-ნ კ. სალიას იმ ნომერის მოთავსებულ დამოუკიდებელ საქართველოს რუსულ საოკუპაციო ჯარების მიერ დაპყრობის საბჭოელთა გაყალბებული ვერსია ყოველგვარ ყოყმანის გარეშე, სიტყვიერად და წერილობით დაბეჭდეს და ბ-ნ კ. სალიას პოლიტიკურად გაემიჯნენ.

ნ. ურუშაძე.

რუსებსმა მაშინ და განა მარტო სურსათი? ბევრად ბევრი სხვა რამ...

1918 წ. ამერიკული დამმხმარე კომიტეტის ხელმძღვანელი გახლდათ პოდპოლკოვნიკი რაიონდ რობინს. რაიონკლი ეს ოფიცერი. რასაკვირველია, ვერ ეტყვეოდა რუსულ ამბებში და ბოლშევიკური პროპაგანდით გაბრუნებული ვულუბრევილოდ ფიქრობდა, რუსეთში მტყიცი ეკონომიური დემოკრატია“ შეიქმნებოდა! თავისი მუშაობის დასასრულს... რაიონდ რობინსმა რუსეთის მაშინდელ დიქტატორს ლენინს მისწერა შემდეგი წერილი 1919 წლის აპრილის 25-ს.

«Уважаемому Николаю Ленину, Председателю Совета Народных Комиссаров Российской Советской Федеративной Социалистической Республики»
Москва, Кремль.

Дорогой г. Председатель. Заканчива распределение всего продовольствия и пособий, предназначенных Американским Красным Крестом в помощь русскому народу, я готовлюсь сейчас выехать из России в Соединенные Штаты через несколько дней.

Позвольте мне воспользоваться случаем, чтобы выразить свою искреннюю признательность за Ваше сотрудничество и любезность при осуществлении моей работы по линии Американской Миссии Красного Креста в России, а также твердою надеждою, что Российская Советская Республика разовьется в прочную Демократическую Державу и что Ваша колыбельная цель — сделать Россию прочной экономической демократией — будет осуществлена.

Ваша пророческая проникновенность и гениальное руководство поздравляю Советской власти укрепиться во всей России, и я уверен, что этот новый созидательный орган демократического образа жизни людей удивит и двинет вперед дело свободы во всем мире. В течение пяти месяцев моим горячим желанием было принести пользу делу ознакомления американского народа с этой новой демократией, и я надеюсь продолжить усилия в этом направлении по возвращении на родину.

С признательностью, лучшими пожеланиями и глубоким уважением искренне Ваш


Раймонд Робинс,
подполковник, руководитель
Американской Миссии Красного Креста.

ლენინის 100 წლისთავზე, როგორც თვით საბჭოთა კავშირში, ისე უცხოეთშიც მკათებელი ვააბრუეს იმის

191-15

296 X

157



მტიციებით, თუ ლენინი რა გენიოსი დიდი კაცი ყოფილა რა საკითხთან არ ჰქონია საქმე? და რას არ აწერენ და სწერენ დღესაც ლენინის დიდობის გამო! მარტო სათაურების აღნიშვნაც კი ნათელი სურათს ვაჩვენებს, მაგრამ აბა, როგორ შემძლია ყველა სათაურის აქ მიტანა, ამას მთელი წიგნი დასჭირდება, მაგრამ სამავალათოდ მაინც ვაგაგონობთ ზოგიერთს:

„ლენინიზმი მუდამ ცოცხალი, ცხოველყოფილი მოძღვრებაა; ლენინი საზოგადოების განვითარებაში ხალხის მსახურის როლის შესახებ; ლენინი ორი სისტემის საზღვრძლივი, მშვიდობიანი თანაარსებობის და თანამშრომლობის შესახებ; ნაროდნიკების იდეური განადგურება ლენინის მიერ; ლენინის ნაშრომი რუსული ენის გაუმყენდის შესახებ; ლენინური ვახუთი „პრავდა“ და რევოლუციური მოძრაობა საქართველოში; ლენინური სიტყვა; ლენინიანა (რამდენჯერ); ლენინი და საქართველო; ლენინის სახე ქართულ ხალხურ პოეზიაში; ლენინი ახალგაზრდობის შესახებ; დიდი ბელადის მხატვრული სახე; ლენინის სახე ქართულ პროზასა და დრამატურგიაში; ლენინი სამშობლოსა და პატრიოტიზმის არსის შესახებ; ლენინური გეგმა; ლენინური მოძღვრება მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირზე; საქართველოს მთავალი ლენინური იდეების გამარჯვებისათვის ბრძოლის ისტორიიდან; ლენინი და ესთეტიკის საკითხები; დიდი ლენინის სახე ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში; ლენინი საბუნდოვანო მუშაობის შესახებ; ლენინი ეურნალისტი, პუბლიცისტიკის დიდი ისტატი; ბელადის წერილი დედას; ილიჩის ხელის სითბო; დიდი ლენინის თემა; გოეთე ლენინის შრომებში; ლენინი ინტელიგენციის შესახებ; ბუნების დაცვის ლენინური ღონისძიებანი, ლენინი და მხატვრული შემოქმედების პრობლემები; ლენინი ფრანგულ ლიტერატურის შესახებ; ქართული პოეტური ლენინიანა; ლენინი ქართულ სახვით ხელოვნებაში; ლენინი იმპერიალიზმის ექსპლუატატორული და აგრესიული ბუნების შესახებ; ლენინის სახე ქართულ საბუთა პოეზიაში; ლენინური ეროვნული პროგრამა და ქართველი ხალხის განმათავისუფლებელი მოძრაობა; ხელოვნების პარტიულობის ლენინური პრინციპი; ლენინი პროლეტარული ინტერნაციონალიზმის შესახებ; ლენინი ომისა და არმიის შესახებ; ლენინი „მოსკოვის უწყებები“-სა და „ნოვოე ვრემა“-ს რედაქტორთა მოღვაწეობის შესახებ; ლენინი და თანამედროვე იმპერიალისტური მატერიალიზმი.

ლენინის შთაგონებით და მითითებით იქმნებოდა; ლენინი და მარქსისტული ფილოსოფია საბჭოთა საქართველოში; „ლენინი დე... ამიერკავკასიის სუვერენული რესპუბლიკების შმენებლობა“; „ხალხი უმღერის ლე-

ნის“ და რამდენი ლექსი? რამდენი პოემა მიძღვნა ლენინს... ვინ დათვლის!

ყველს დადიწყდა დავსახელებია ლენინი... როგორც ზრდილობიანი კაცი და დავწერა წერაღი: „ლენინი ზრდილობის შესახებ“... შეიძლება დასწერა ვინმემ ასეთ წერილს არ ვიციან! მხოლოდ მე მომაქვს აქ საბუთი იმის შესახებ. ლენინი დიდი უზრდელი კაცი იყო, დიდი მხატვარი და ყოველივე დავსახებისა და მადლობის გრძნობას მოკლებული...

ამერიკული წითელი ჯვარი დამშუულ რუსეთს დაეხმარა, — რამდენი მილიონ ტონობით სურსათი-სანოვადე მიაწოდა! რამდენი ხალხი სიკვდილს ვადაარჩინა! და ამერიკის წითელი ჯვრის წარმომადგენელს ლენინმა ერთი სიტყვითაც კი მადლობა არ უთხრა ასეთი ქველმოქმედების და შრომისათვის! ის საბუთი:

Печат. по арх.

159. Ответ В. И. Ленина на письмо подполковника Р. Робинса 30 апреля 1918 г.

Дорогой г. Робинс,
Весьма благодарен за Ваше письмо. Я уверен, что новая демократия, являющаяся пролетарской демократией, назревает во всех странах и сокрушит все препятствия и империалистически-капиталистическую систему в Новом и Старом Свете.

С уважением и благодарностью, искренне Ваш

Ленин

Печат. по арх.

Письмо В. И. Ленина является ответом на письмо подполковника Робинса от 25 апреля 1918 г. следующего содержания:

ის ასეთი „ზრდილობიანი“ კაცი იყო ლენინი — ეს უზრდელი და ბრიყვი პროპაგანდისტი, ემუქრება კიდევ ვაგაბოლშევიკებით.

+

ლენინის ჰუმანიზმი

რა იცოდა ამ გულუბრყვილო და ბრიყვმა ამერიკელმა რობინსმა, რომ ლენინი, ჩეკის დაარსებით, და მისი ერთგული დამხარებით სოციალიზმ-კომუნისმისთვის მილონობით ხალხს გაეკლიტავდა !..

ერთ დღეს ცნობილმა მწერალმა გორკიმ ლენინს შესჩივლა და ამ საუბარს დაესწრო სახალხო განათლების კომისარი ლუნნარსკი; შესჩივლა მას რომ, ჩხრეკენ და იქერენ პეტროგრადის ინტელიგენტებსო: „სწორედ მათ, რომლებიც ყველას ჩვენ, პირადად თქვენც, ვგვხმარებოდენ. გვმალავდენ თავის ბინებში“-ო.

ლენინმა გაიკინა და გორკის უპასუხა შემდეგი: „დიხა, შესანიშნავი და კეთილი ადამიანები არიან და სწორედ ამიტომ უნდა გაჩხრიკონ ისინი. ამიტომ ვგვიხმარებოდა, მაინც და მაინც არა გულთ, მათი დაქვრა. ისინი ხომ შესანიშნავი და კეთილი არიან; ისინი ხომ ყოველთაგანის თანაუგრძობდენ დაჩაგრულებს; ისინი ხომ წინააღმდეგინ არიან დენისა, და ახლა რას ხედავენ ისინი? მდენენენი — ეს არის ჩვენი ჩეკა; დაჩაგრულნი — კადეტები და ესე-



რები, რომლებიც ჩეკას გაურბიან. ჩანს, მათი გაგებით, მათ მოვალეობა უკარანახებს მათი მოკავშირენი და ჩვენი წინააღმდეგი ვახდენიო. და ჩვენ აქტიური კონტრევოლუციონერები უნდა დავიქირით და უვნებელყოთ. დანარჩენი ცხადია“-ო, და ამ საუბრის გადამოცე-
მი ლუნაჩარსკი დასძენს: „ვლადიმერ ილიჩმა გაიკინა უბრალო სიცოცხლე“-ო. უბრალო სიცოცხლე! მამ!

იქერდნენ, ციხეებში ამწყვედნენ, ზვრეტდნენ, კონცენტრაციულ ლაგერებში ალაპმდნენ მილიონობით ხალხს, დამნაშავეს და უდანაშაულოს — ლენინის მიერ დაარსებული ჩეკის თანამშრომლები, რომლებიც სისხლის გაღებას არც თვითონ გადაურჩნენ, და ასეთ სისხლისმსმელ კაცს — ვლადიმერ ილიჩ ლენინს — დღეს ჰუმანისტად სახავენ და კაცობრიობის გამაბედნიერებლად სთვლიან! ასეთი არის კომუნისტური ზნეობრივი სიმზიხეჯე.

+

ვილოჯი და ლენინი

იცნობთ თბევნ ფილოფეის? არა? ფილოფეი იყო ერთი მონასტრის წინამძღვარი; მან მისწერა წერილი მთა-კოვის თავადას და მეფეს, ვასილი ვასილევჩის 1510 წელში, რომელშიც იგი შეხედვს ამბობდა: რომის ორი იმპერია დაინგრა; პირველი რომის იმპერია დასავლეთისა, — ბიზანტიის იმპერია, რომლის სატახტო ქალაქი თურქებმა აიღეს 1453 წელს. დაეშაო ორი ქრისტიანული ტახტი. მოსკოვის მეფეც უნდა დაიცვას ქრისტიანობა და რუსეთი ნამდვილ ქრისტიანულ სახელმწიფოდ უნდა გარდაიქმნასო.

ამ წერილს მისი მნიშვნელობა გაუფართოვდა და უკვე მეთექვსმეტე საუკუნის დასასრულს გავრცელებული იყო შეხედულება, რომლის მიხედვით რუსეთი უნდა გადაქცეულიყო კონსტანტინოპლის მიმკვიდრედ და შესამე რომად. არ რელიგიურ ემზატლოვასი, თან დაერთო პოლიტიკური ემზატლოვაც და ამის თანახმად, რუსეთი, — ეს წმიდა რუსეთი, — უნდა გამხდარიყო მსოფლიოში ქრისტიანობის, წმიდა ქრისტიანობის გამავრცელებლად და დამამყარებლად. ამ ნიადაგზე წარმოიშვა ის რუსული პოლიტიკა, რომელს ახორციელებდნენ რუსეთის იმპერატორები, რომლებიც ქრისტიანობის დამცველად გამოდიოდნენ ბალკანეთში, კავკასიაში და სხვაგანაც; სადაც შეეძლოთ. არ რელიგიური იდეალის გაბატონებას ხარუტლად ელო რუსული ნაციონალიზმი. ქრისტიანობის დაცვის მიზნით, — არსებითად კი თურქეთის მფარველობაში მყოფ ბალკანეთისა და კავკასიის ხალხების შორის გასაბატონებლად, რუსეთი თურქეთთან ომსაც არ მორიდებია და თავის ტერიტორიალურ გაფართოებას შედგომა და კონსტანტინოპლის დაცე-

ვების სურვილის განამდვილება პირველ შემთხვევაში უცდია..


მეცხარამეტე საუკუნეში, (1835 წლიდან) რუსეთში შეიქმნა ერთი წოდებული სლავიანოფილური მოძრაობა, რომლის წარმომადგენელი პოლიტიკური მიზანა იყო ყველგან მყოფ, განსაკუთრებით ცენტრალ და აუზოსავლეთ ქვეყნების, სლავიანთა გავრთიანება რუსეთის ტახტის ქვეშ. სლავიანოფილური შეხედულება უარყოფდა ევროპას, არ იყენარებდა მის კაპიტალისტურ წესწყობილებას და ფიქრობდა, რომ რუსეთს უნდა ჰქონოდა თავისი საკუთარი გზა სოციალური ბედნიერების დასამყარებლად, და ეს შეხედულება კიდევ უფრო გაფართოვდა და რუსეთს შეექმნა სურვილი მთელ მსოფლიოში ქრისტიანული და სოციალური სამართლიანობის შესაქმნელად. ამგვარად, ქრისტიანობა (და ისიც რუსულა ყაიღის) და სოციალური სამართლიანობა რუსეთს უნდა გაეტარებინა მთელ მსოფლიოში.

მონასტრის წინამძღვარის ფილოფეის უბრალო ნათქვამი, რომ რუსეთის ტახტი უნდა იყოს ქრისტიანობის დამცველი, გარდაიქცა დიდ იდეად რომელსაც მსოფლიო მნიშვნელობა მიენიჭა; რუსეთი იქნება არა მარტო შესამე რაგენი, არამედ მთელი მსოფლიოს გამაბედნიერებელი.

საბრალო მარქსსაც ფილოფეის ბედი ერთო; მარქსმა უარყო კაპიტალისტური წყობილება და სოციალიზმის განახორციელება პროლეტარიატის დაყისრად, ოღონდ ეს პროლეტარიატი იყო ინდუსტრიალურად განვითარებულ დასავლეთ ევროპაში. მას აზრადაც არ მოსულია, რომ შესაძლებელი იქნებოდა სოციალიზმის განამდვილება არა-ინდუსტრიალურ ქვეყანაში, ან აგარულ პრიმიტიულ რუსეთში.

მაინც ლენინმა შესაძლებლად დაინახა ჩამორჩენილ განუვითარებულ რუსეთში სოციალიზმის და კომუნისმის დამყარება და ამრიგად, მარქსის შეხედულება ყირამალა დაეყენა.

დაეპატრონა რა ხელისუფლებას, ლენინი შეუდგა ანტიმარქსისტული იდეის ცხოვრებაში გატარებას და მიღწე-წოდებულ რა ძველი რუსეთის წესწყობილება (ლიდი მხევრპლის გაღებით), წარმოიდგინა რომ რუსეთში, სოციალიზმს გაატარებდა, მაგრამ ამით არ დაეწყვიფილდა და მსოფლიოში პროლეტარიატის დიქტატურისა და მისი საშუალებით სოციალიზმის შექმნის იდეაც ფეხზე დააყენა. 50 წელიწადზე მეტი არის, რაც რუსეთის კომუნისტური პარტია ამას ემსახურება, თუმცა ლენინი მოელოდა, რომ რუსეთის გასაბჭოებას ევროპის გასაბჭოებაც მოჰყვებოდა, (რაც მხოლოდ ოცნებად დარჩა). ოღონდ რუსეთს ამ იდეაზე ხელი არ აუღია და დღესაც ამ მიმართულებით ბრძოლის განაგრძობს რუსული სახელმწიფოებრივი პოლიტიკის ძალი.



რადგან ლენინის სოციალიზმ-კომუნისმი სხვა ხალხებ-ბისათვის მიუღებელი აღმოჩნდა და ნებაყოფლობით არც ერთი ერი მას არ გაჰყვა, იგი დაპყრობით პოლიტიკას შეუღდა და ძალით მოახვია სხვა ხალხებს თავისი ანტიმარქსისტული სოციალიზმი. ამ მიზნით მან დაიპყრო რუსეთის იმპერიის ფარგლებში ძველად შენავალი ქვეყნები და მიერ მსოფლიო ომის შემდეგ რუსულმა კომუნისტურმა პარტიამ ეს „გადაბრუნებული“ სოციალიზმი აღმოსავლეთ ევროპასაც მოახვია თავზე, და მას შემდეგ დასავლეთის კაპიტალისტურ ქვეყნებს ყველგან ძირს უთხრის დასაწვრვად. რუსეთის სოციალისტური იმპერიალიზმი ემუქრება მთელ დასავლეთს გადასაყლაპავად. ხოლო დასავლეთი თავს იცავს, რათა იგი რუსულ კუჭში არ მოექცეს. კომუნისტური რუსეთის სოციალისტური იმპერიალიზმი უტყვის. თავს ისმის ყველგან დასავლეთის თავისუფალ ქვეყნებს, ხოლო ეს ქვეყნები თავს იცავენ. ეს ბრძოლა დღესაც გრძელდება, მაგრამ არა მგონია რუსეთს გამარჯვება ეწეროს შუბლ-

ზე და ამ შუბლს იგი ბოლოს დასავლეთის თავისუფალი კედელს მიამტრევეს. ეს მჯერა.
ფილოფეი—ბერი. მისი იდეა რუსეთის შინაომებ-ლებმა დაამახინჯეს და იგი სახელმწიფო პოლიტიკის საშუალებით გამოიყენეს რუსეთის გაბატონებისათვის მსოფლიოში.
; მარქსი — სოციალისტი. ევროპელი სოციალისტი. ლენინი — რუსი სოციალისტი. ლენინმა მარქსის იდეა გადააბრუნა და რუსეთის სოციალიზმ-კომუნისმი თავს დაატყა, მაგრამ ამას არ დაჯერდნენ და მსოფლიოს დაპყრობას უპირებენ.
ბერი—ფილოფეის იდეა, გადამხინჯებული, კვლამ რუსეთმა თავისი იმპერიალისტურ ზრახვათა განსახორციელებლად გამოიყენა.
მარქსის იდეა, გადამხინჯებული, კომუნისტურმა რუსეთმა თავისი იმპერიალისტურ ზრახვათა განსახორციელებლად გამოიყენა. შეძლებს ამ ზრახვათა განხორციელებას? ეერა, ეერ შეძლებს.

ვ. ნოჰაძე.

ლ. ზურაბიშვილი.

ისტორიის დამასახიჩრებლობა

ქვემოდ მოყვანილი სიტყვა წარმოვთქვი ფრანგულ ენაზე „ევროპის თავისუფლების საბჭოს და „ა. ბ. შ.“-ის კონფერენციის საბოლოო, საჯარო სხდომაზე, 15 ნოემბერს 1970 წელს, ქალაქ ბრუსელის „კულტურის ცენტრის“ თეატრში. დღეს ის ქართულად ვთარგმნე იმ ფრანგულ ტექსტიდან, რომელიც დაიბეჭდა თეატრალში, 1971 წ. უფროს „ესტეროპეან“-ის ნომერში. ვინაიდან თემა დარჩა საღიფისო, კვლავ ღირსია ყურადღებისა... მაშინ, დაბეჭდვის დროს, ხმარებულ ქმმსამსაშრომებს ისევე ეხმარებ, ვინაიდან ვფიქრობ: წერილის წაკითხვის აადვილებენ.

ფალსიფიკაციის ოსტატები.

რას წარმოადგენს მცნება, გამოცდილება? რა უნდა შეგვამართოს ისტორიის ცოდნამ? უფრო ხშირად, ახალგაზრდები არიან რომ შეაქვთ ეჭვი ამ მცნებათა ღირებულებაში! მაგრამ ამა ვთქვათ, თქვენ უახლოვდებით უნებომ ალყაფის კარს, რომელსაც აჭერია: „ჩვენი ძალი ავია!“ ვასაგებია რომ ამ კარს — უყუყმანოდ ზიანც არ შეაღებთ, ვინაიდან თქვენი ყურადღება სიფრთხილეშია მოყვანილი... აი გამოცდილებაც, მეტად თუ ნაკლებად ამგვარისა.

პოლიტიკურად მომქმედ ხალხს, ისტორიის ცოდნა შესწავლა აწეღის საშუალებას წინდახედული მოქმედებისას.

ლენინმა, სტალინმა და მათმა მემკვიდრეებმაც იმ მიზნით, რომ ეს გამაფრთხილებელი საშუალება მიეცათ

თავიანთი მოწინააღმდეგეებისათვის, მიმართეს ისტორიის ფაქტების დამახინჯება — ფალსიფიკაციის მეთოდს.

ამ სფეროში, მრავალჯერ იყო პრესაში აღნიშნული, სახელმძღვანელოების, ისტორიულ შრომების, ენციკლოპედიების, ლექსიკონების და ფოტოგრაფიული საბუთების კომუნისტების მიერ შერყენის მაგალითები.

ნამდვილ ფაქტების ნაცვლად, — წარმოსახვითი მონგოლი ფაქტების აღნუსხვა და მნიშვნელოვან მოვლენათა საცხებით აღმოფხვრა, ამავე „სუბვერსიულ არაინჯლის საწამლავე იარაღები არიან.

ერთხანს, სისტემატიური დასახიჩრება ყველა მსოფლიოს საქმიანობისათვის ვერგეგმირებულ დოკუმენტებისა, რომელნიც საბჭოთა შარად ინახებიან, ისეთ ზომამდე მივიდა რომ სახელგანთქმული „კონგრესის ბიბლიოთეკა“ ვაშინგტონში, იძულებული გახდა მიეღო განსაკუთრებული უმკაცრესი ზომები მნიშვნელოვან წიგნ-დოკუმენტების დაცვის უზრუნველსაყოფად.

თავის დროზე, საბჭოთა პოლიტიკის ამერიკელ სპეციალისტმა, ბორის შუბ-მა, შენიშნა რომ უდიდესი ყურადღება უნდა მიექციათ სწორედ იმ ფაქტებისათვის, რომლის გაყალბებას სცდილობენ რუსები, ვინაიდან სწორედ იქ მარხია რუსეთის სისუსტის პუნქტებო. და ამგვარ დაკვირვების ნიადაგზე იყო, რომ კრედიტ-ნოლოგები“ წლითი-წელ ადარებდნენ „საბჭოთა დიდ ენციკლოპედიის გამოცემებს, და იკვლევდნენ შოვ ზეტანილ ცვლილებებს, ან ხარეხებს.



ამისდამიხედვით, სწორედ პოლიტიკურ ლტოლვილთა, რომლებსაც ცოტარამ გამოცილილება გვაქვს, და უკვე ვიგეგმეთ ზემოხსენებული „ავი ძალის“ კბენა და ნიშნულდება და მრავალიც დროზე შეუძახით დასავლელს: „ერიდეთ!“ და თითო უჩვენოთ თუ სად ავია ზაფანგი.

უნდა აღიარებული იქნეს რომ ხშირად, ნეფსით თუ უნებლით, დასავლეთი თვითონვე ხდება თანამონაწილე იმ გაყალბებათა, რომლის წყარო და შთამავანელი მოსკოვია.

მაგალითად მომავსე ყველასათვის ცნობილი „პატარა ლარუსი“, რომლიდანაც მსოფლიოს ქვეყნების ფრანგული ენის ნორჩი მოსწავლენი ლეუბლობენ საქირია ცნობა-გამხარებებს.

პირველი მსოფლიო ომის დასასრულში მომხდარ რევოლუციის ის ასე ჰყვება: „... დამარცხება — გამარჯვებათა მონაცვლეობის შედეგად, 1917 წ-ში, რუსეთში მოხდა ბოლშევიკური რევოლუცია (ლენინი): მეფე და მისი ოჯახი მოკლულ იყვნენ, და ცოტა ხნის შემდეგ დამყარებული იქმნა კომუნისტური რეჟიმი“.

ასე, ტექსტიდან განდევნილია სიტყვა „ოქტომბერი“, და გამოდის რომ აღარცაა მამუ საქირია „თებერვლის რევოლუციის“ გახსენება! ალბათ ამას „წერილობიანად“ სთვლიან?!

საბჭოთა ვერსიები ისტორიისა არ კმაყოფილდებიან ამგვარ შემოკლებებით; იქ მოვლენათა შესწორება სრულდება კრემლის ნება-სურვილის მიხედვით. აი როგორ ჰყვებიან საბჭოთა სახელმძღვანელოები საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის, 1921 წელში, ბოლოს მოღებას: „1921 წლის თებერვალში, ქართველ მშრომლებმა, კომუნისტური პარტიის მეთაურობით, და რუსი ხალხის დახმარებით, განდევნეს მენშევიკები საქართველოდან, და დამყარეს საბჭ. ხელისუფლება“.

ამ სახითაა მოცემული საქართველოზე მომხდარი ღენერლების: გეგერის, ბუდიონის და ელშოვას ხელმძღვანელობით, რუსული ჯარების სამი მხრიდან თავდასხმა და ხუთი კვირის მანძილზე მათი ბრძოლები ქართულ ჯარის და სახალხო გვარდიის წინააღმდეგ.

მე ხომ ამაში ვერ დამარწმუნებენ, — რომელიც ოთხმეტი წლისა გახლდით. დამსწრე ამ ვანცდებით სასვე ბუთი კვირისა. — რომ ის ასეულობით რუსი ტყვე მხედრები, თბილისში ჩამოყვანილნი, ჩემის თვალთა ენახე, ვიდრე თბილისი აღებული იქნებოდა, რუსებად „გადაცმული“ ქართველი მუშები იყვნენ?!

თუ ჩემსაზე უფრო დამარწმუნებელი მოწმობა გასტო, ამქ მოვიყვან ლ. ტროცის სიტყვებს. რაც დაბეჭდილია აქ, 1948 წელში, პარიზში გამოცემულ წიგნში „სტალინი“, გვერდი 494-ზე:

„სტალინს თითქო დავიწყებელი ჰქონდა, ენაზე დაედიდებოდა, (ეს მოხდა 7 მაის 1920 წ.), მაგრამ 11 თებერვალს 1921 წ. წითელი ჯარის ნაწილმა შეიკა საქართველოს სტალინის ბრძანებით და ჩვენ დაგვყენა ფაქტის წინაშე“.

აქ ერთი შესწორება საჭირო; სიტყვა ნაწილი მთარგმნელის მიერ ნახმარო შემამარცხებელი შეცდომაა, ეინაინად შემოწარმლ ჯარების რაოდენობის ვარაუდობდნენ 110 ათას ჯარისკაცად, რასაც წინააღმდეგობას უწევდა 40 ათასიოდე ქართველი, (რაც ახსენება მობილიზაციის შეფერხებით).

ისტორიიდან ამოშლილი ოთხი წელიწადი.

ჩემს მიერ მოტანილი ორი მაგალითი ფალსიფიკაციების განზრახ შევარჩე შესატყვისად ორი თარიღისა: 1917 წლისა და 1921 წლისა! ეს იმიტომ რომ ამ ორი კიდე-თარიღის შუა, ყველა მომხდარი ფაქტები და მოვლენები, ისტორიიდან ამოშლილია რუს მოხელე მწერალთა მიერ. რატომ? . . . უბრალოდ იმიტომ რომ ეს პერიოდი შეიცავს უდიდეს მნიშვნელობის ისტორიის გაცეითოს, რომლის გაშუქება სათანადო პირობების ვანგეორების შემთხვევაში, შეიძლება გამოყენებულ იქნეს იმპერიალისტურ-კოლონიალისტურ რუსეთის სასიკაცლო ინტერესების საწინააღმდეგოდ.

ვიდრე რუსეთი ბორგავდა და იკლავებოდა თავის საპაშტარ სამოქალაქო ომის ქაოსში, (დემოკრატიულ ფენების, წითელი ძალების, და თეთრ ღენერლების. — ყველა ნამდვილ რუსულ ელემენტების სისხლმძვინვარეობაში ჩაბმული), ყოფილ იმპერიის პერიფერიის ყველა არა-რუსმა ერებმა: — თურქესტანი, ფინეთი, ბალტიის ქვეყნები, პოლონეთი, ბელორუსეთი, უკრაინა, საქართველო, სასომხეთი აზერბაიჯანი და სხვ. — სომხურ-ტანურად, მაშინვე, თითულმა გამოაცხადეს ეროვნული დამოუკიდებლობა, და აღდგინეს თავთავიანთი ისტორიული სახელმწიფოები.

აქვე საქირია ხაზგასმით აღინიშნოს რომ, არც ერთ ამ რესპუბლიკათაგანში, თითულად წარმოებულ არ-ჩევენებში, კომუნისტებს არ მოუღიათ ხმათა 4 პროცენტზე მეტი. ეს ვარემოება ადასტურებს იმას რომ ბოლშევიზმი იყო ნამდვილად რუსული მოვლენა, და რომ ის ატარებს წარუშლელ დაღს მუდმივი რუსული ექსპანსიონიზმისა, რომელიც დიდადა ივანე მრისხანეს ხანში და რუსის ხალხის შეგენებაში გაბატონდა პეტრე დიდის წყალობით.

ამიტომ გასაკვირიც არ არის რომ იმ დღიდან, რაც ბოლშევიზმს დარჩა გამარჯვება რუსეთში, მან. იმის მაგივრად რომ დემობილიზაცია ექნა თავისი ურიცხვი რაზმებისათვის, სტყარინა ისინი რუსეთის ყოფილი ქო-



ლონიების კვლავ დასაყრობად, 4 წელწადი მოანდო-
მა რომ ამ სამხედრო მიმდევრობითი აგრესიების უზით,
დაემსხვრია ახლად აღორძინებული ეროვნული სახელმ-
წიფობი:

1918 — 1919 წლებში მან მხვილით დაიმორჩილა
თურქესტანი, ბელორუსეთი და უკრაინა, 1920ში, ჩრდი-
ლოკავკასია, აზერბაიჯანი და სასოხეთი, და ზოლის
1921 წ. მარტო საქართველოც. ყველა ამ შემთხვევებში
იმან, — რომ გარედან არაეინ არ მიეშველა ამ ქვეყნებს,
არც ფინანსურად, არც იარაღის მიწოდებით, გახარდა
მოპირდაპირეთა ხელთმოყოფ საშუალებათა უთანას-
წორობა, მრავალრიცხოვანი თვდამსხმელის სასარგებ-
ლოდ.

ასე არ მოხდა მხოლოდ პოლონეთში და ბალტიის
ქვეყნებში; დასავლეთიდან მიღებული დახმარების წყა-
კებით, ისინი, იმ ხანად ვადაურჩენ რუსეთის იერიშს.
ამიტომ არის, რომ რუსეთი სცილილობს ამომალის
მსოფლიო მესხიერებიდან ის განუწყვეტელი აგრესიის
— ომინაობის ოთხი წელწადი, და ცდილობენ გაასა-
ლან **ზღაპარი: ვითომც საბჭოთა კავშირი ყოფილიყოს
ნებისყოფითი გაერთიანება თანასწორუფლებიანი ხალ-
ხებისა.** აი რაც ჩვენ უნდა დაღადით ვამბილოთ თუ რომ
გვსურს ისტორიაც ისე არ დამუწჯდეს, როგორც „ბატა-
რა ლარუს“-ის ლექსიკანი.

საგულსხმობა, ნუ დავიწყებთ, რომ მეორე მსოფ-
ლიო ომმა მისცა მოსკოვს საშუალება რუსეთის ყო-
ფილ იმპერიის სრული აღდგენისა, და კიდევ საგძინო-
ბი გაიღიდებისა, კვლავ დაუმორჩილა რა მას ბალტიე-
ლები, პოლონეთი, და კიდევ: ბულგარეთი, ჰუნგარიეთი,
რუმინეთი და ჩეხოსლოვაკია' გეახსოვდეს, რომ აქაც
ვადამწყვეტი ფაქტორი იყო „საბელმოხვეცილი და ქმუ-
რი“ რუსის ჯარი. ასე იყო ოცდახუთი წლის წინ. ასევე
მოხდა 1956 წ. და 1968 წელწადი. (მაგარამ ამაზე სდუმან
ლექსიკონები. . .)

ბანტონამისუფლვაბა მოსკოვის რამკაპტის უკით.
შესრულდა 50 წლისათვის პირველწყება აგრესიების
მსხვერპლ ერბისათვის; — 25 წლისათვის მეორე წყება
აგრესიების მსხვერპლათათვის.

ამოდენი სისხლი! ამდენი ძალდატანება, ეროვნული
დევნა, პოლიციური რეპრესიები, კოლონიალური ექსპ-
ლუტაცია, გამარჯვებული გენოსიდები, უსახლვრო რუ-
სიფიკაცია, სისტემატური დასმენები, ვადასახუ-
ბები ციმბირში.

რამდენი ტრალიცილი წლები: მათი სასოწარკვედილი
აჯანყებებით და ამბოხებებით არა-რუს ერებისა; აუღამ
ჩახრობილინი და აღაგმულინი სამხედრო „ექსპედიცი-
ებისა... და ხელიწებურად მოწყობილი შიმშილის საშუა-
ლებით. სულშეხუთული გრძელვადიანი გამასწორებელი
შორმის ბანაკები და ფსიქიატრული საავადმყოფოები!

კოტანი არიან დასავლეთელები, ერკვევიდენ
რომ საფრთხე უკლებლივად არსებობს, და **„ერკვევიდენ
ლეთ-დასავლეთის შორის, „დაძაბულობის შენელება“**
უფრო მათ სურვილ-ოცნებაშია, ვიდრე მოსკოვის ლე-
ნერლების გონების სინამდვილეში სუფევს. — „ევროპა
სდუმს“ ასეთი იყო უკვე, ჰუნგარიელ პოეტებს პოე-
მების საათური 1848 წელში, (როდესაც რუსული ჯარი
ეხმარებოდა ავსტრიას, იმდროინდელ ჰუნგარიის აჯან-
ყების ჩაქრობაში). დღეს, შეიძლება ითქვას, მთელი თავი-
სუფალი მსოფლიო გეგონებათ კმაყოფილია რომ საში-
შარ გამოურკვევლობაში იმყოფება, რასაც უწოდებენ
„სტატუს კვი“, და ვითომც — ზავის შემქნელ „თანა-
არსებობა“-ს.

მაგარამ რა შეუძლია ჩვენს სიფრთხილის რჩევებს
იმ ბალხან, რომლებიც ისწრაფვიან მიიღონ საბჭოე-
ბისაგან კომერციული „კონტრაქტები“, ან იმ ყურ-
ნალისტიკებზე, რომელნიც ზრუნავენ არ დაიხშონ კარე-
ბი მორიგი ვოლცა-წყულებების, ან კიდევ იმ დაქველ-
ებულ დიპლომატებზე, რომელნიც ფიქრობენ რუსეთ-
ჩინეთის დაპირებება ერთს დღეს ჩიხილად გამოიღვენს
მათ წინდაუხედელობას, და გაამართლებს მათს ხელის
აღებას ყოველვე ენიციტიკავზე.

ეს საერთო ჩვეულება დასავლეთში: „მოწყალების
თვალთ“ უყურებენ რუსეთის მიერ ოკუპირებულ ხალ-
ხების ემიგრანტებს, და კიდევ უკვირთ თუ რატომ მოს-
კოვი ამათ მიმართ ამდენ ყურადღებას იჩენს, რომ სცი-
ლობს კიდევ მათ ფიზიკურ მოსაპობასაც-კი. (რო-
გორც ის მოხდა ს. პეტლურას, ნ. რამიშვილის, პოლ.
მხედის, კუტუპოვის, კონოვალეცის, ბანდერას და სხვე-
ბის გაქრობის“ შემთხვევაში).

ჩაენივი ძალებს დაკეპრდნოთ!

მაშ ვიდრე ვუხსნიდეთ უმადურ დასავლეთელებს,
რომელნიც უფრადლებითი სტოვებენ ჩვენს რჩევებს —
სჯობია ვიანამშრომლოდ და შევეართოდ ჩვენი ლონის
ძიებანი, ვანდევნოთ უპისიზომი და ეწნეთ ჩვენს გა-
ერთიანებულ ძალებს.

ჩვენ ვიცით: ჩვენს მრწამსს, ეროვნულ იმედებს იზი-
არებენ გულში მილიონები და მილიონები ჩვენი თანა-
მემამულენი, იქნებან ისინი ჰუნგარიელები, ჩეხები, უკ-
რაინელები თუ ქართველები — ვინაიდან ისინი არიან
მათი მრწამსი და მათი იმედებიც, რომელთა გაპოქ-
ლანება ოლოდ მათთვის აკრძალულია, და რომელთ
ჩვენ მაღლა ვატარებთ, როგორც წმიდა ჩირაღასს.

რად არის საჭირო, რალაც თეორიულ უფლებრიკობის
განსხვავებების გაკეთება იმ ტყვეურთა შორის, რომელ-
ნიც დამოებულ იქნენ მოსკოვის მიერ უკანასკნელ
ომის პარაკსში, 50 წლის წინ დატყვევებულ 14 კილო-
ნიათაგან, რასაც დღეს რუსეთი უწოდებს „საბჭოთა
კავშირს“?..



პრეზიდენტ აიზენჰაუერს, თავის 1959 წლის კანონში, რომელმაც დააწესა „ჩაგრული ერების კეისარი“, ასეთი განსხვავება არ გაუტარებია.

მართლაც თავისუფლება განუყოფელია! ეს არის ძირითადი ელემენტი ადამიანის პიროვნების ღირსებისა! და პირველი პირობაც მისი ბედნიერებისა. ეს გახლავთ

ჯადოსნური სიტყვა, ქერიქონის ბიბლიური საყურადღებო, რომლებმაც უიარაღოდ შეანგრის ზღუდეს! ჩვენი ვითხოვთ თავისუფლებას ჩვენი ერებისთვის. ჩვენ ერთად ვიბრძობებთ რომ მივაღწიოთ მას, ჩვენ მას მივალწევთ. გაუმარჯოს თავისუფლებას!

ლევან ზურაბიშვილი.

გ. წერეთლი.

58 წლის შემდეგ

ჩემმა თაობამ უკვე 30, ხოლო ემიგრაციის პირველმა თაობამ 53 წელი გადმოხვეწილობაში გაატარა. ეს დიდი, ძალიან დიდი დროა ადამიანის სანაოკლე ცხოვრებაში. ამ ხნის განმავლობაში უზარმაზარი სასულეშვიფობები დაემყვინ: გერმანიის შესახებ რეიხი, მუსოლინის ფაშისტური იტალია და ამომავალი მხის, — იაპონიის იმპერია. ძველი კოლონიალური და ნახევრად კოლონიალური ქვეყნებიდან სოკოებივით წამოიზარდნ ათეულწილი სუვერენული სახელმწიფოები: აფრიკა, აზიაში და ახლო აღმოსავლეთში. ინგლისმა, საფრანგეთმა, პოლანდიამ და ბელგიამ, — ევროპის ამ ძლიერ კოლონიალურმა სახელმწიფოებმა — თავიღებინ დაიკაიწეს და ნებისთნ თუ ძალდატანებით შევიანთ ისტორიულ საზღვრებში დაიხიეს. მხოლოდ პატარ-პატარა კუნძულები და რჩა კოლონიალურ პირობებში და მათაც დღეს თუ არა ხვალ ეროვნული განთავისუფლებების ტალღები წაოკეაენ. კიდევ უფრო მეტი: ისეთი სახელმწიფოები. როგორც იხვალის, საფრანგეთი, ესპანია, იტალია, ბელგია და სხვანი, რომლებიც წინად მწილითურ ერებათ გამოიყურებოდნ, დღეს სულ ბეტად და მეტად ესვევიან შინაურ-შემადგენელ ნაციონალურ ელემენტებად გამოარკვევის ქარ-ცეცხლში. ამ დღებში ინგლისის საპარლამენტო არჩევნებში, 3 დეპუტატი იქნა არჩეული გალების ქვეყნის ავტონომისტების მიერ. ბელგიაში თან და თან შეუძლებელი ხდება ვალონების და ფლანდრიების ერთ სახელმწიფოში მოთავსება, ესპანეთში ბასკები — ეს ჩვენი შორეული ნათესავები — თან და თან იღვიძებენ და ეერავითარი რეპრესიები ვეღარ შეაჩერებენ მათ ეროვნულად ჩამოყალიბებას.

ეროვნული გამოღვიძების მავალითები უმარავია ჩვენი დროის მსოფლიოში. იღვიძებენ ყოინით ასულთობით მცირე ერები, რომელთაც არასოდეს ისტორიაში სახელმწიფოებრივი და კულტურული სახეობა არა ჰქონიათ. ცხადზე უცხადისა. რომ მომავალი კაცობრიობა არა ერთფეროვანი კანისა და ერთი ენის გაბატონებისაკენ მიემართება, არამედ მრავალფეროვნებისა და მრავალენობრივობისაკენ. რამდენი ერიც იმდენი სახელმწიფო. ყველა ერმა თავისი საკუთარი გენის მიხედვით უნდა მოაწყოს თავისი შინაური ცხოვრება. არ არსებობს უხვალაზი და ქვეხალბები. ყველანი თანაბარი არიან, როგორც მოვალეობებით ისე უფლებებით და სა-

კაცობრიო ღირებულებებით. დიზაგრულ ხალხთა ემანსიპაცია არა მათი ჩაყლაპვითა და მონელებით მიმდინარეობს, არამედ მათი ეროვნული პირადობის წაიყენებით და გამაზნელებით.

